

სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის ხელშეკრულების სტანდარტული პირობები

ქ. თბილისი

“_____“ _____“ _____“ წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ (შემდგომში “ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი”), წარმოდგენილი {თანამდებობის დასახელება, სახელი და გვარი} მიერ, ერთის მხრივ, და {საწარმოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა და სახელწოდება} (შემდგომში „მწარმოებელი“), წარმოდგენილი {თანამდებობის დასახელება, სახელი და გვარი} მიერ, მეორეს მხრივ, ორივე ერთად „მხარეებად“ წოდებულნი,

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2014 წლის 17 აპრილის №10 დადგენილებით დამტკიცებული „ქსელის წესების“ (შემდგომში „ქსელის წესები“) საფუძველზე, აფორმებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდგომზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანია დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნის საფუძველზე, მწარმოებლის მფლობელობაში არსებული {ელექტროსადგურის სახელწოდება} ელექტროსადგურის კონკრეტული ტესტირება გავლილი აგრეგატი (შემდგომში „ელექტროსადგური“) მეშვეობით სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენა საქართველოს კანონმდებლობისა და მის საფუძველზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ გაცემული სათანადო განკარგულებების-ინსტრუქციების მოთხოვნათა შესაბამისად.
2. ელექტროსადგური წარმოადგენს ქსელის წესების 23-ე მუხლის 1¹ პუნქტით გათვალისწინებულ იმ ელექტროსადგურს, რომლის გენერატორი დადგმული სიმძლავრისა და წაყენებული მოთხოვნის შესაბამისად წარმოადგენს „C“ ან/და „D“ კატეგორიას და აქვს ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობა;
3. „კომისიის“ მიერ სისტემური მომსახურების გაწევისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისა და მწარმოებლისთვის შესაბამისი ტარიფების დადგენის შემდეგ, მხარეები ვალდებული არიან, გონივრულ ვადაში, შესაბამისი ცვლილებები შეიტანონ წინამდებარე ხელშეკრულებაში.
4. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონით, შესაბამისი ტექნიკური რეგლამენტებითა და „ქსელის წესები“-თ განსაზღვრული მნიშვნელობები, თუ მათი განსხვავებული განმარტება არ არის მოცემული ამავე ხელშეკრულებაში.

მუხლი 2. სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის სპეციფიკიდან გამომდინარე დამატებითი მოთხოვნები

1. ელექტროსადგურის ტექნიკურ მდგომარეობასა და დასაქმებულ პერსონალთან დაკავშირებით, სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის სპეციფიკიდან გამომდინარე, ელექტროსადგური უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი სახის კრიტერიუმებს:

- ა) უნდა შეეძლოს ქსელის ძაბვისგან დამოუკიდებლად გენერატორის გაშვება და ს/მ-ის ტრანსფორმატორზე ძაბვის მიღება;
- ბ) გაშვებულ გენერატორს უნდა შეეძლოს სხვადასხვა სიმძლავრეზე მუშაობა;
- გ) მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს ტექნიკური რეგლამენტებითა და „ქსელის წესებით“ სიხშირის დადგენილ ზღვრებში რეგულირების უზრუნველყოფის შესაბამისი მოწყობილობის გამართული მუშაობა;
- დ) რეაქტიული სიმძლავრის რეგულირება;
- ე) უზრუნველყოს 24 საათიან რეჟიმში ისეთი ტექნიკური პერსონალის მორიგეობა, რომელსაც აქვთ საკმარისი ცოდნა და გამოცდილება დამოუკიდებლად განახორციელონ ელექტროსადგურის ნულიდან გაშვება.

მუხლი 3. გეგმიური და არაგეგმიური ტესტირებების განხორციელების პროცედურები, ვადები და შედეგების რეგისტრაცია

1. გეგმიურ ტესტირებას ახორციელებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი.

2. გეგმიური ტესტირება უნდა განხორციელდეს წელიწადში ერთხელ მაინც, ასევე წლის განმავლობაში წინასწარ დაგეგმილი და განხორციელებული რემონტ(ებ)ის შემდეგ ელექტროსადგურის მიერ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობის გადამოწმების (ასეთი აუცილებლობის არსებობის შემთხვევაში) მიზნით.

3. არაგეგმიური ტესტირება ხორციელდება:

- ა) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნით, თუ არსებობს ელექტროსადგურის მიერ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობის გადამოწმების აუცილებლობა;
- ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნით, დაგეგმილი ან დაუგეგმავი რემონტის დასრულების შემდეგ, ელექტროსადგურის მიერ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობის გადამოწმების მიზნით;
- გ) მწარმოებლის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, ტესტირების განხორციელების აუცილებლობას წყვეტს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამ ხელშეკრულების პირობების მიხედვით.

4. ტესტირება (როგორც გეგმიური, ასევე არაგეგმიური) ხორციელდება შესაბამისი პროგრამის მიხედვით. ტესტირების პროგრამა დგება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ და მასში მიეთითება:

- ა) ტესტირების სახე (გეგმიური ან არაგეგმიური);
- ბ) ტესტირების ჩატარების საფუძველი ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად;
- გ) ტესტირების ჩატარების პერიოდი;
- დ) ტესტირების ეტაპები (შესასრულებელი ღონისძიებები);

ე) წარმატებული ტესტირების ინდიკატორი (მაჩვენებლები).

5. სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის ტესტირების პროგრამა თანხმდება მწარმოებელთან და იმ განაწილების ლიცენზიატთან, რომლის დახმარებითაც უნდა განხორციელდეს ეს ტესტირება, და შეთანხმებული პროგრამა მტკიცდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ.

6. პროგრამა, საჭიროების შემთხვევაში, თანხმდება იმ განაწილების ლიცენზიატთან, რომლის ქსელსაც მოიცავს სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის ტესტირების დამტკიცებული პროგრამა. აღნიშნულის უზრუნველყოფას აწარმოებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი.

7. ტესტირება ტარდება დამტკიცებული პროგრამის სრული დაცვით, ეროვნული სადისპეტჩერო ცენტრის დისპეტჩერის განკარგულებებისა და მითითებების საფუძველზე. ტესტირების მიმდინარეობასთან დაკავშირებით დება ტესტირების ოქმი, რომელშიც აღიწერება ტესტირების მიმდინარეობა ქრონოლოგიურად და მაჩვენებლები ანალიზისა და განმარტებების გარეშე. ტესტირების ოქმს ხელს აწერს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის და მწარმოებლის წარმომადგენელი პირ(ები)ი.

8. ტესტირება წარმატებულად ჩაითვლება, თუ ელექტროსადგური შეძლებს ნულიდან დამოუკიდებლად გაშვებას და მომხმარებლის ეტაპობრივ დატვირთვას დატვირთვის კვების ძაბვისა და სიხშირის პარამეტრების დადგენილ (ავარიის შემდგომი) ზღვრებში.

9. ტესტირების შეფასება ხორციელდება ტესტირების დასრულებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში, ტესტირების ოქმის მონაცემების საფუძველზე. ტესტირება, შედეგების შესაბამისად, ფასდება:

ა) წარმატებულ ტესტირებად (ელექტროსადგური უზრუნველყოფს ნულიდან გაშვებას ერთი ან ერთ-ერთი აგრეგატით მაინც);

ბ) წარუმატებელ ტესტირებად (ელექტროსადგური ვერ უზრუნველყოფს ნულიდან გაშვებას ან სიხშირის რეგულირებას დადგენილ ფარგლებში ან/და ვადებში).

10. ნულიდან გაშვება ელექტროსადგურმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი განკარგულების მიღებიდან არაუმეტეს 1 (ერთი) ასტრონომიული საათის განმავლობაში. ამ მიზნით, გაშვებული და აგზნებული გენერატორის ენერგეტიკულ სისტემასთან მიერთებისთვის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი უზრუნველყოფს გადართვების პროგრამის მომზადებას და ძაბვის მიმღები ქვესადგურში შესაბამისი გადართვების წარმოებას.

11. ტესტირების შეფასება ხორციელდება შეფასების აქტით, რომელშიც მიეთითება ტესტირების დროს დაფიქსირებული მაჩვენებლები და შედეგები. წარუმატებელი ტესტირების შემთხვევაში, შეფასების ოქმში ასევე უნდა მიეთითოს ის ხარვეზ(ებ)ი, რაც გამოვლენილი იქნა ტესტირების შეფასებისას.

12. წარუმატებელი ტესტირების შემთხვევაში, მწარმოებელი ვალდებულია შეფასების აქტის (თანდართული დოკუმენტაციასთან ერთად) მიღებიდან არაუგვიანეს 7 (შვიდი) კალენდარულ დღეში წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს სრულყოფილი ინფორმაცია ხარვეზების გამომწვევი მიზეზებისა და მათი აღმოფხვრისთვის საჭირო ღონისძიებების და სავარუდო ვადების შესახებ. მოცემული ინფორმაციის მიღებიდან 7

(შვიდი) კალენდარულ დღეში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განიხილავს მოწოდებულ ინფორმაციას და ითანხმებს ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებებსა და ვადებს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად მწარმოებლის მიერ.

13. წარუმატებელი ტესტირების შემთხვევაში, განმეორებითი ტესტირება ხორციელდება ამ მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული ხარვეზების მწარმოებლის მიერ აღმოფხვრის შემდეგ, მისივე მოთხოვნით, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის გადაწყვეტილების შესაბამისად. განმეორებითი ტესტირება ხორციელდება ამ მუხლის მე-5 - მე-12 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.

მუხლი 4. განმეორებითი წარუმატებელი ტესტირება და მისი შედეგები, ტესტირების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრის პროცედურები და ვადები

1. განმეორებითი წარუმატებელი ტესტირების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მწარმოებელთან ერთად წყვეტს შემდგომი ღონისძიებების საკითხს. საჭიროების შემთხვევაში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი (მწარმოებლის მიერ ხარვეზების აღმოფხვრაზე უარის, განცხადების ან სხვა მსგავსი ქმედებების შემთხვევაში) უფლებამოსილია მიმართოს „კომისიას“ მწარმოებლის მიმართ შესაბამისი იძულებითი ღონისძიებების გატარების მოთხოვნით.

მუხლი 5. ელექტროსადგურის გეგმიურ, ასევე არაგეგმიურ რემონტებში შეყვანა-გამოყვანის პროცედურები და ვადები

1. მწარმოებელი იმ ელექტრომომწყობილობის შეკეთების შემთხვევაში, რომელიც იწვევს ნულიდან გაშვების მზადყოფნის შეჩერებას, ვალდებულია დისპეტჩერული განაცხადით აცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს შეკეთებამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე. სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობა მწარმოებელს დაუდასტურდება მხოლოდ ელექტროსადგურის მიერ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის ტესტირების წარმატებით გავლის დღიდან.

2. ელექტროსადგურის გეგმიურ, ასევე არაგეგმიურ (ავარიულ) რემონტებში შეყვანა - გამოყვანის პროცედურებთან და ვადებთან დაკავშირებული სხვა საკითხები, რომლებიც არ არის მოცემული წინამდებარე ხელშეკრულებაში რეგულირდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დამტკიცებული „ელექტროდანადგარების და მოწყობილობების შეკეთებაში ჩაყენების დისპეტჩერული განაცხადის“ ინსტრუქციით, რომელიც სავალდებულოა მხარეთათვის.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია ეს ინსტრუქცია და მისი ყველა ცვლილება გამოაქვეყნოს საკუთარ ვებ-გვერდზე.

მუხლი 6. სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენა. პროცედურები, ასევე სხვადასხვა სქემები სისტემის ნულიდან გაშვებისათვის

1. მწარმოებელი ვალდებულია ელექტროსადგურში განლაგებული ენერგობლოკი/აგრეგატი მუდმივად იქონიოს სრულ მზადყოფნაში, ისე, რომ სისტემის სრული ან ნაწილობრივი ჩაქრობის შემთხვევაში, შესწევდეს უნარი დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ შესაბამისი მითითებების მიღებიდან უმოკლეს ვადაში (არაუმეტეს 1 საათისა) სისტემაში ძაბვის არარსებობის პირობებში განახორციელოს დამოუკიდებლად (გარედან ელექტროენერჯის მიღების გარეშე) ელექტროსადგურის ნულიდან გაშვება და ავტონომიურად მომხმარებლის დატვირთვა;
2. მწარმოებელი ვალდებულია ნულიდან გაშვებისას უზრუნველყოს სიხშირისა და ძაბვის დადგენილი დონეების შენარჩუნება (ავარიული რეჟიმის გათვალისწინებით) და დატვირთვის რეგულირება ელექტროენერგეტიკული სისტემის აღდგენის პერიოდში. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს ელექტროსადგურის დოზირებული დატვირთვა იმგვარად, რომ შენარჩუნდეს სიხშირისა და ძაბვის ცვლილება მოქმედი „ქსელის წესებით“ ავარიული რეჟიმისთვის დადგენილ ზღვრებში;
3. სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენა ხორციელდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მითითებებისა და განკარგულებების შესაბამისად. მწარმოებელი ვალდებულია თავისი ქმედებები განახორციელოს იმგვარად, რომ მაქსიმალურად იქნეს უზრუნველყოფილი პერსონალისა და ელექტრომოწყობილობა-დანადგარების უსაფრთხოება.
4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატმა უნდა უზრუნველყოს მწარმოებელთან დამაკავშირებელი ხმოვანი და სხვა სახის კომუნიკაციების არსებობა, ხოლო მწარმოებელმა მათი ოპერირება ელექტროენერჯის გარეშე წყაროების გამოუყენებლად 12 საათის განმავლობაში;
5. საბალანსო გაყოფის საზღვრამდე, მწარმოებლის მხარეს, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის საკუთრებაში არსებული საკომუნიკაციო მოწყობილობების (მათ შორის, სკადა-ს (SCADA) ელემენტების შენახვაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პასუხისმგებელია მწარმოებელი, ხოლო დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი მის მომსახურებაზე. ამ შემთხვევაში გამოიყენება მიბარების ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები. აღნიშნული საკომუნიკაციო საშუალებების დეტალური ჩამონათვალი. არსებობის შემთხვევაში, მოცემული იქნება წინამდებარე ხელშეკრულების დანართში.
6. მხარეები ვალდებული არიან ერთმანეთს მიაწოდონ კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირების საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მობილური და სტაციონარული კავშირის საშუალებების ნომრების მითითებით.

მუხლი 7. ავარიულ რეჟიმში სადგურის მოქმედების გეგმა (სადგურის მიერ სტანდარტულად (დისპეტჩერის მითითების გარეშე) შესასრულებელი ვალდებულებები)

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი, მწარმოებელთან ერთად შეიმუშავებს და ამტკიცებს ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრთან კავშირის არ ქონის დროს ავარიული რეჟიმში სამოქმედო, მათ შორის, ავარიული რეჟიმის ლიკვიდაციის ინსტრუქციას. აღნიშნული ინსტრუქცია უნდა ითვალისწინებდეს ავარიული რეჟიმიდან სწრაფად და უსაფრთხოდ გამოსვლის ღონისძიებებს, მათ შორის ნულიდან გაშვებას, იმგვარად, რომ ელექტროენერგეტიკულ სისტემაზე მინიმალური უარყოფითი გავლენა მოახდინოს;
2. მწარმოებელი ვალდებულია შეასრულოს ავარიული რეჟიმის ლიკვიდაციის გეგმასთან დაკავშირებული დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მოთხოვნები;
3. ფორს-მაჟორული მდგომარეობის შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია მწარმოებელს და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს შორის ტექნიკური საშუალებით კომუნიკაცია, მწარმოებელი ვალდებულია დადგენილი კანონმდებლობის, პრაქტიკის, ინსტრუქციებისა და სტანდარტების შესაბამისად, ერთპიროვნულად იმოქმედოს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, იმ ვარაუდით რომ მაქსიმალურად უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემისა საიმედო, უსაფრთხო და მდგრადი ფუნქციონირება;

მუხლი 8. მხარეთა ვალდებულებები:

1. მწარმოებელი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების მოთხოვნათა შესრულება;
- ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მოთხოვნის შესაბამისად გადმოსცეს განაცხადი ეროვნულ სადისპეტჩერო ცენტრში ელექტროსადგურის მიერ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობის ტესტირების შესახებ;
- გ) დაუბრკოლებლივ, დროის ნებისმიერ მონაკვეთში უზრუნველყოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის უფლებამოსილი იმ პირების ელექტროსადგურში დაშვება, რომელთა ვინაობა წინასწარ წერილობით წარედგინება მწარმოებელს, შემოწმების დაწყებამდე არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა, ხოლო აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე ელექტროსადგურების შემთხვევაში 7 სამუშაო დღის ვადაში;
- დ) მკაცრად დაიცვას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის განკარგულებები და მითითებები, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ადამიანების სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა, ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენება, ან მოწყობილობა-დანადგარების დაზიანება;
- ე) მუდმივ მზადყოფნაში ამყოფოს მის კუთვნილებაში არსებული აგრეგატები და წესრიგში იქონიოს სიხშირის რეგულატორები;
- ვ) მუდმივ მზადყოფნაში ამყოფოს ელექტროსადგურის მორიგე ინჟინრები;
- ზ) ელექტროსადგურის ან აგრეგატების შეკეთებაში გაყვანის მიზნით გადმოცემულ დისპეტჩერულ განაცხადში მიუთითოს ნულიდან გაშვების შესაძლებლობა;

- თ) წარუმატებელი ტესტირების შემთხვევაში, დროულად (არაუმეტეს დადგენილი ვადებისა) მოიძიოს და აღმოფხვრას ტესტირების წარუმატებლობის მიზეზი;
- ი) მკაცრად დაიცვას მოქმედ კანონმდებლობაში მოყვანილი ენერგეტიკული პარამეტრები;
- კ) შეატყობინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს, ელექტროსადგურის ტექნიკური მახასიათებლების ცვლილების შესახებ, რაც გამორიცხავს ან ამცირებს ელექტროსადგურის მიერ სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის შესაძლებლობას;
- ლ) შეთანხმებული ვადების დარღვევის შემთხვევაში, წერილობით წარუდგინოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს სარემონტო სამუშაოების გაჭიანურების დასაბუთებული მიზეზი;
- მ) ამ პუნქტის „ჟ“ და „რ“ ქვეპუნქტების შესრულების მიზნით, გაითვალისწინოს და განახორციელოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ინსპექტირების ჯგუფის მიერ ინსპექტირების ოქმით გათვალისწინებული შემოწმების შედეგები;
- ნ) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში მითითებულ ოქმზე საკუთარი წარმომადგენლების ხელმოწერის უზრუნველყოფა;
- ო) ამ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რეკომენდაციების გათვალისწინება და ღონისძიებების გატარება;
- პ) მონაწილეობა მიიღოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ ჩატარებულ „ქსელის წესების“ 47-ე მუხლში განსაზღვრულ სწავლებებში;
- ჟ) განახორციელოს პერსონალის შესაბამისი სწავლება, სამომავლოდ ავარიული რეჟიმის თავიდან აცილების, ან ავარიის შედეგების სწრაფად და უსაფრთხოდ აღდგენის მიზნით;
- რ) უზრუნველყოს პერსონალისა და მოწყობილობების უსაფრთხოება, ხოლო შემდეგ ლიკვიდაციის გეგმით გათვალისწინებული სხვა ოპერაციების განხორციელება;
- ს) უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ვალდებულია უზრუნველყოს:

- ა) სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის თითოეული ტესტირებისას ინდივიდუალური პროგრამის შედგენა, დამტკიცება და მისი ხელმისაწვდომობა;
- ბ) მწარმოებლისგან მიღებული სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის თითოეული ტესტირების შესახებ განაცხადის იმ ორგანიზაციებთან შეთანხმება, რომლებსაც ტესტირების პროცესში უწყდებათ ელექტროენერჯის მიწოდება-მიღება (კვალიფიციური საწარმოები და სხვა მომხმარებლები) და შეთანხმების შემდეგ თანხმობის გაცემა;
- გ) ტესტირების მიმდინარეობასთან დაკავშირებით ოქმის შედგენა, რომელშიც აღწერილი იქნება ტესტირების მიმდინარეობა ქრონოლოგიურად და მიეთითება მაჩვენებლები ანალიზისა და განმარტების გარეშე და ტესტირების მონაწილე პირების წარმომადგენლების ხელმოწერის უზრუნველყოფა;
- დ) ამ პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ოქმზე დაყრდნობით, ტესტირების ანალიზი და შეფასება, გასატარებელი ღონისძიებებისა და რეკომენდაციების შემუშავება და მწარმოებლისთვის გაგზავნა;

- ე) მწარმოებლის შეტყობინება ინსპექტირების და ტესტირების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე;
- ვ) სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის მიზნით, ძაბვის მიმღებ ქვესადგურში შესაბამისი გადართვების წარმოება და სისტემის ნულოვანი მდგომარეობიდან აღდგენის სქემის მომზადება;
- ზ) ამ ხელშეკრულებითა და მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესრულება.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ ხელშეკრულების მოთხოვნების ზედმიწევნით შესრულება. თითოეული მხარე პასუხისმგებელია მეორე მხარისთვის მიწოდებული მონაცემებისა და ინფორმაციის გამართულობაზე, სრულყოფილებაზე და სისწორეზე.

მუხლი 10. კონფიდენციალურობა

მხარეები ვალდებული არიან დაიცვან ამ ხელშეკრულების ფარგლებში ერთმანეთისთვის გადაცემული იმ ინფორმაციის კონფიდენციალურობა, რომელზეც შესატყვისი მხარე მიუთითებს როგორც კონფიდენციალურს და არ დაუშვან მესამე პირებისთვის მისი გამჟღავნება, გარდა იმ შემთხვევაში, თუ ეს ინფორმაცია:

- ა) უნდა იქნეს მიწოდებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის ან საქართველოს მთავრობისთვის მათი მოთხოვნით;
- ბ) უნდა იქნას მიწოდებული საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიისთვის;
- გ) უნდა იქნეს მიწოდებული სამართალდამცავი ან სხვა კომპეტენტური ორგანოების მოთხოვნით;
- დ) საქართველოს სათანადოდ უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით ექვემდებარება გასაჯაროებას ან შესაბამისი ორგანოსთვის მიწოდებას;
- ე) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

მუხლი 11. ენა

- 1. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული მიმოწერა წარმოებს ქართულ ენაზე.
- 2. წინამდებარე ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას, უპირატესობა მიენიჭება ქართულ ენაზე დაწერილ ტექსტს.

მუხლი 12. ფორს-მაჟორი

1. მხარეები განთავისუფლებულნი იქნებიან პასუხისმგებლობისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული თავიანთი ვალდებულებების ნაწილობრივ ან სრულად შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს მოხდება ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგად, თუკი ეს გარემოებები უშუალო ზეგავლენას მოახდენენ

წინამდებარე ხელშეკრულების ვადაში შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების ვადა გადაიდება იმ დროით, რამდენ ხანსაც გრძელდებოდა აღნიშნული გარემოებების და მათი შედეგების მოქმედება.

2. მხარე, რომელსაც არ შეუძლია ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს წერილობით მეორე მხარეს ზემოაღნიშნული გარემოებების წარმოქმნისა და შეწყვეტის შესახებ, მაგრამ არა უგვიანეს 10 დღისა მათი წარმოქმნის მომენტიდან. ფორს-მაჟორული გარემოებების შესახებ დაგვიანებული შეტყობინების შემთხვევაში, შესაბამისი მხარე კარგავს უფლებას დაასახლოს ისინი მომავალში ხელშეკრულებით განსაზღვრული მათი ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზად.

3. ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისა და მათი ხანგრძლივობის სათანადო მტკიცებულებად ჩაითვლება საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მოწმობა.

მუხლი 13. დავების განხილვა

1. ყველა დავა და აზრთა სხვადასხვაობა, რომელიც შეიძლება წამოიჭრას წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას ანდა მასთან დაკავშირებით, შეძლებისდაგვარად გადაწყდება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით.

2. იმ შემთხვევაში, თუ ერთობლივი გადაწყვეტილება ვერ იქნება მიღებული, ყველა დავა, რომელიც წარმოიშვება არსებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით და რომელთა მოგვარება შეუძლებელი იქნება ურთიერთმოლაპარაკებების გზით, საბოლოოდ განხილულ უნდა იქნას საქართველოს სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 14. სხვა პირობები

1. მხარეებს არ აქვთ უფლება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები გადასცენ მესამე მხარეს მეორე მხარის მიერ წერილობითი თანხმობის მიცემის გარეშე.

2. წინამდებარე ხელშეკრულება და მის საფუძველზე შექმნილი ნებისმიერი დოკუმენტი სამართლებრივი ძალის მქონეა, მხოლოდ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მისი ხელმოწერის შემთხვევაში.

3. წინამდებარე ხელშეკრულება შესრულებულია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად: ერთი დისპეტერიზაციის ლიცენზიანტის, ხოლო მეორე - მწარმოებლისთვის.

მუხლი 15. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ელექტროსადგურის მფლობელი კვალიფიციური საწარმოს ელექტროენერგიით საბითუმო ვაჭრობაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით, რეგისტრაციის ან ელექტროსადგურის ფუნქციონირების ვადით.

2. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის წერილობითი ფორმით გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

„დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი“:	„მწარმოებელი“:
მის.:	მის:
საიდენტიფიკაციო კოდი: 204995176	საიდენტიფიკაციო კოდი:
ბანკი:	ბანკი:
ბანკის კოდი:	ბანკის კოდი:
ანგარიშის #:	ანგარიშის #:
{ხელმომწერი პირის სახელი და გვარი}	{ხელმომწერი პირის სახელი და გვარი}
{ხელმომწერი პირის თანამდებობა}	{ხელმომწერი პირის თანამდებობა}